

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის სხდომის

ოქმი #2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 21 თებერვალს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 26.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ანკეტა-კითხვარი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. სხდომის თავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ დამსწრეთ კიდევ ერთხელ შეახსენა რაოდენობები სპეციალობების მიხედვით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა მ.ხაჩიძემ მოითხოვა ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობაზე (18-ის ნაცვლად 30). ამასთან აღნიშნა, რომ ამით პროგრამის ხარჯი არ მოიმატებს, რადგან მაინც მხოლოდ 1 ჯგუფი გაიხსნება. პროფესორ ა.უგულავას წინადადებით ფიზიკის პროგრამებზე ადგილების რაოდენობა განისაზღვრა 12-12-ით. პროფესორ ბ.თუთბერიძის მოთხოვნით გეოლოგიის პროგრამაზე 10 ადგილი გამოიყო, ხოლო ქიმიური ექსპერტიზის პროგრამაზე ადგილების რაოდენობა 12-ით განისაზღვრა ქ-ნ ნ.თაყაიშვილის მოთხოვნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების საკითხი შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით (იხ. დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 26 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2020 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე - მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

- 2.1. მათემატიკის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამისა და ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის ზოგიერთი

- დოქტორანტიისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თემის დამტკიცების შესახებ;
- 2.2. სახელობითი აუდიტორიის შესახებ;
 - 2.3. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გზამკვლევის შესახებ;
 - 2.4. სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ;
 - 2.5. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოდან გადმორიცხული საკომპენსაციო თანხის განაწილების შესახებ.

2.1 მოისმინეს: მათემატიკის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამისა და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის ზოგიერთი დოქტორანტიისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თემის დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. აღნიშნულ საკითხებს საფუძვლად დაედო ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის სხდომის ოქმი, ასევე მათემატიკის დეპარტამენტიდან - პროფესორ გ.ჯაიანისა და ასოცირებული პროფესორის თ.კოპალიანის განცხადებები (იხ. დანართები 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მათემატიკის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამისა და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის ზოგიერთი დოქტორანტიისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თემის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 26, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

2.1. დაადგინეს: შემდეგი დოქტორანტებისათვის დამტკიცდეს სამეცნიერო ხელმძღვანელები და სამეცნიერო თემები:

მათემატიკის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა

1. დოქტორანტ **დავით ადამაძეს** თანახელმძღვანელად დაენიშნოს და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრად დაემატოს ასისტენტ პროფესორი ანა დანელია. დავით ადამაძის ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრთა სია დამტკიცდეს შემდეგი სახით:
 - პროფ. ლ.დინინგი ბელფილდის უნივერსიტეტი,
 - ასოც.პროფ. თენგიზ კოპალიანი,
 - ასისტ.პროფ. ანა დანელია.
2. დოქტორანტ **სოფიო ბლიაძეს** თანახელმძღვანელად დაენიშნოს და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრად დაემატოს ასოც.პროფ. ნატალია ჩინჩალაძე. სოფიო ბლიაძის ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრთა სია დამტკიცდეს შემდეგი სახით:
 - პროფ. რ.კინცლერი - ბრემენის უნივერსიტეტი,
 - პროფ. გიორგი ჯაიანი,
 - ასოც.პროფ. ნატალია ჩინჩალაძე.
3. დოქტორანტ **გიორგი ბაკურაძის** თანახელმძღვანელად და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრად დაემატოს ასოც. პროფ. ნატალია ჩინჩალაძე. გიორგი ბაკურაძის ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრთა სია დამტკიცდეს შემდეგი სახით:
 - პროფ. რ.კინცლერი - ბრემენის უნივერსიტეტი,
 - პროფ. გიორგი ჯაიანი,
 - ასოც.პროფ. ნატალია ჩინჩალაძე.

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა:

1. დოქტორანტი **დიანა ერემიანი**: სადოქტორო თემა - „მაღალი ძაბვის ფილტრებში ინდუქტიური და ტევადური ელემენტების ურთიერთქმედების მოდელირება PEEC მეთოდით“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მეცნიერებათა დოქტორი ანა გეონჯიანი;
2. დოქტორანტი **ზვიად კუჭაძე**: სადოქტორო თემა - „უკონტაქტო ელექტრული ძრავის 3D მოდელირება PEEC მეთოდით“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფიზ. მათ. მეცნიერებათა კანდიდატი რომან ჯობავა;
3. დოქტორანტი **დავით იმნაძე**: სადოქტორო თემა - „ელექტროდინამიკის ამოცანების ამოხსნა მაკრო-ბაზისური ფუნქციებზე დაფუძნებული მომენტების მეთოდის გამოყენებით“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფიზ. მათ. მეცნიერებათა კანდიდატი რომან ჯობავა;
4. დოქტორანტი **გიორგი კაპანაძე**: სადოქტორო თემა - „თანამედროვე ელექტრონული მრავალფენიანი ბეჭდვითი პლატების კონექტორების მოდელირება ელექტრომაგნიტური თავსებადობის თვალსაზრისით“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მეცნიერებათა დოქტორი ანა გეონჯიანი;
5. დოქტორანტი **თეონა ჯობავა**: სადოქტორო თემა - „საავტომობილო ინდუსტრიაში ელექტრომაგნიტური თავსებადობის სტანდარტების შესაბამისი ვირტუალური ტესტების მეთოდის შექმნა“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფიზ. მათ. მეცნიერებათა კანდიდატი დავით ქარქაშაძე;
6. დოქტორანტი **კონსტანტინე პარშუტკინი**: სადოქტორო თემა - „თანამედროვე საავტომობილო რადიოლოკაციური ამოცანები და მათი გადაჭრის ეფექტური მეთოდოლოგიის შემუშავება“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფიზ. მათ. მეცნიერებათა კანდიდატი რომან ჯობავა.

2.2. მოისმინეს: სახელობითი აუდიტორიის შესახებ. საკითხის შესახებ ისუბრა პროფესორმა ო.მუკუზიანმა. მან აღნიშნა, რომ რომ 2019 წლის დეკემბერში მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით იგი წინადადებით შემოვიდა, რომ მე-8 კორპუსის #121 ლაბორატორიას მიენიჭოს ყოფილი კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლოტარ ხანანაშვილის სახელი. მონაცემები მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლოტარ ხანანაშვილის მეცნიერული დამსახურების და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ მის განცხადებას თან ერთვის (იხ. დანართები 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული წინადადება,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 26, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

2.2. დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის წინაშე, რათა მე-8 კორპუსის #121 ლაბორატორიას მიენიჭოს ყოფილი კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლოტარ ხანანაშვილის სახელი.

2.3. მოისმინეს: სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გზამკვლევის შესახებ ისუბრა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებულ მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნისა და მოდიფიცირების მიზნით რექტორის

ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფის მუშაობის ფარგლებში უნდა შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გზამკვლევი, სადაც გაწერილი უნდა იყოს ყველა პროცედურული ნაბიჯი ვადების მითითებით. ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს ცნობის სახით მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შემოწმება მსგავსების დამდგენი სისტემის Turnitin-ის საშუალებით, რომელიც ინტეგრირებულია თსუ ელექტრონულ სასწავლო პლატფორმა Moodle-ში. ამასთან აღნიშნა, რომ წინა წელს უკვე გამოიყენეს ეს სისტემა ჩვენი ფაკულტეტის მაგისტრანტთა ნაშრომების შესამოწმებლად და შედეგებმა აჩვენა, რომ ამ საკითხში პრობლემებმა არ უნდა იჩინოს თავი. ფაკულტეტის საბჭომ თავისი რეკომენდაციები უნდა მიაწოდოს სამუშაო ჯგუფს.

აზრი გამოთქვას: აღნიშნული საკითხის ირგვლივ სჯა-ბაასი გაიმართა. აზრი გამოთქვას საბჭოს წევრებმა გ.სირბილაძემ, ა.გამყრელიძემ, თ.დავითაშვილმა, რ.გახოკიძემ, თ.ლეჟავამ, გ.ღვედაშვილმა და სხვებმა. მათ იმსჯელეს მსგავსების პროგრამის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და ეფექტურობაზე. ზოგიერთს მიუღებლად მიაჩნდა პროგრამის გამოყენება და ეჭვქვეშ აყენებდა მის ეფექტურობას. ასევე აღინიშნა, რომ თუ მოხდება მსგავსების დამდგენი პროგრამის გამოყენება, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს პროგრამის დასკვნის ანალიზი დარგის სპეციალისტების მიერ. პროფესორმა გ.სირბილაძემ მოითხოვა, რომ მსგავსების დადგენა დავალოს დარგობრივ კომისიას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა რეკომენდაციას, რომ სამაგისტრო ნაშრომების მსგავსების დადგენისათვის სისტემა Turnitin-ის გამოყენება არასავალდებულო იყოს და ცალკეულ შემთხვევებში გადაწყვეტილება ფაკულტეტის დეპარტამენტებმა მიიღოს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 26, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

2.3. დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციას, რომ სამაგისტრო ნაშრომების მსგავსების დადგენისათვის სისტემა Turnitin-ის გამოყენება არასავალდებულო იყოს და ცალკეულ შემთხვევებში გადაწყვეტილება ფაკულტეტის დეპარტამენტებმა მიიღოს.

2.4. მოისმინეს: სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ წელს ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების უმეტესობას უწევს აკრედიტაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა აკრედიტაციის გადასახადი, რის გამოც სასურველია პროგრამების ნაწილის აკრედიტაცია მოხდეს კლასტერული აკრედიტაციის შესახებ რეგულაციის მიღების შემდეგ. განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს ეთხოვა პროგრამების ნაწილის აკრედიტაციის ვადის გადავადება. გარდა ამისა აპრილში იგეგმება კანონპროექტის განხილვა, რომელიც საშუალებას იძლევა საბაკალავრო პროგრამებში ჩასმული იქნას 60 კრედიტიანი "მასწავლებლის" დამატებითი პროგრამა. ეს ფაქტორები გათვალისწინებული უნდა იქნას აკრედიტაციის სამუშაო პროცესის დაგეგმვისას.

2.4. დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად.

2.5. მოისმინეს: სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოდან გადმორიცხული საკომპენსაციო თანხების განაწილების შესახებ. ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ ამ თანხებიდან წინა წლის ნაშთია დაახლოებით 500 ათასი ლარი, საიდანაც 300 ათასი ლარი ბიოლოგიის დეპარტამენტის ოთახების რემონტს მოხმარდება. წელს უნდა ჩაირიცხოს მილიონ ლარამდე, საიდანაც დაახლოებით 300 ათასი ინგლისურენოვანი პროგრამების

მომსახურებას (ძირითადად პედაგოგების ხელფასებს) მოხმარდება. ჯამურად დარჩება დაახლოებით 900 ათასი ლარი. სასურველი იქნება, რომ დაახლოებით 500 ათასი ლარი მოხმარდეს ავეჯის შეძენას ახლადგარემონტებულ ოთახებში მეორე და მეთერთმეტე კორპუსებში და წელს ათვისებული იქნას 300 ათასი ლარი, დაახლოებით 100-100 ათასი ლარი გამოიყოს მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის დეპარტამენტების ტექნიკური აღჭურვილობის განახლებისთვის, ხოლო 300 ათასი მოხმარდეს გეოგრაფიის დეპარტამენტის აღჭურვილობის შეძენას და საექსპედიციო ცენტრის მოწყობას ტაბახმელაში. ბიოლოგიის დეპარტამენტის აპარატურის განახლება იგეგმება წლის ბოლოს დარჩენილი თანხიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული წინადადება,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 26, წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

2.5. დაადგინეს: სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოდან გადმორიცხული საკომპენსაციო თანხების ხარჯვა დაიგეგმოს შემდეგნაირად:

წინა წლის ნაშთიდან (500 ათასი ლარი) 300 ათასი ლარი მოხმარდეს ბიოლოგიის დეპარტამენტის ოთახების რემონტს, ხოლო დარჩენილი 200 ათასიდან და წელს ჩამოსარიცხი მილიონი ლარიდან დაახლოებით 300 ათასი მოხმარდეს ინგლისურენოვანი პროგრამების მომსახურებას (ძირითადად პედაგოგების ხელფასებს); დაახლოებით 300 ათასი ლარი მოხმარდეს წელს ავეჯის შეძენას ახლადგარემონტებულ ოთახებში მეორე და მეთერთმეტე კორპუსებში (ანალოგიური მიზნით კიდევ 200 ათასი ლარი გამოიყოს მომავალი წლის ჩამორიცხული თანხებიდან); დაახლოებით 100-100 ათასი ლარი გამოიყოს მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის დეპარტამენტების ტექნიკური აღჭურვილობის განახლებისთვის; 300 ათასი მოხმარდეს გეოგრაფიის დეპარტამენტის აღჭურვილობის შეძენას და საექსპედიციო ცენტრის მოწყობას ტაბახმელაში. ბიოლოგიის დეპარტამენტის აპარატურის ნაწილობრივი განახლება დაიგეგმოს წლის ბოლოს გაუხარჯავი თანხიდან.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი

